

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ღვაწლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ ვახტანგ
ფრუიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი
საიუბილეო გამოცემა

Anniversary publication dedicated to the 90th anniversary
of the birth of the distinguished scientist and teacher,
Professor Vakhtang Pruidze

Юбилейное издание, посвященное 90-летию со дня рождения
выдающегося ученого и педагога, профессора Вахтанга Приудзе

ISSN 2346-8467

აგრო
AGRO
АГРО
NEWS

№11

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси

2024

ჟურნალი წარმოადგენს იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას



როზა ლორთქიფანიძე

(მთავარი რედაქტორი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კავშირი - იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარე



მაკა ყუბანეიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



სანთელაძე ნატალია

(სწავლული მდივანი), აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; კავშირი - იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის წევრი

სარედაქციო კოლეგია:

წევრები: პაპუნიძე ვანო; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; თაბაგარი მარიეტა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; მარიამ ცაცანაშვილი; დიაკონიძე მაია, დევიძე ეკა

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of Imereti Agro-ecological Association and Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief); Doctor of Agricultural Sciences, Professor, Chairman of the Union - Imereti Agroecological Association

Santeladze Natalia – (Academic Secretary); Academic Doctor of Agricultural Sciences, Associate Professor; Union - Member of the Imereti Agroecological Association

EDITORIAL BOARD

Members: Papunidze Vano; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Tabagari Marieta; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Tsatsanashvili Mariami; Diakonidze Maia, Devidze eka

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndikov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и**

Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

Лорткипанидзе Роза – (главный редактор); Доктор сельскохозяйственных наук, профессор, председатель Союза - Имеретинская Агроэкологическая Ассоциация

Сантеладзе Наталия – (Ученый Секретарь); Доктор сельскохозяйственных наук, доцент; Союз - Член Имеретинской Агроэкологической Ассоциации

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Члены: Папунидзе Вано; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Фруидзе Маквала; Табагари Мариета; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобава Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Бенидзе Етер; Жоржолиани Цира; Думбадзе Гугули; Цапанашвили Мариамж Диаконидзе Маия, Девидзе Ека

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

ეთერ ბენიძე – ლიმონების მალსეკოგამძლეობის განსაზღვრის მეთოდი მჟაუნმჟავა კალციუმის კრისტალების შემცველი უჯრედების რაოდენობის მიხედვით _____	9
გიგა დათუნაიშვილი – თხილის ჯიშების - ტონდა ჯიფონის, ანაკლიურისა და გულშიშველას ფენოლოგიურ ფაზებზე დაკვირვების შედეგები აჭარის პირობებში _____	16
დავით ზოიძე – ლურჯი მოცვის სხვა-ფორმირება _____	24
ნინო კელენჯერიძე, ნატალია სანთელაძე, ლაშა მიქელაძე – ნიადაგური კვლევა დაფნის კულტურის გავრცელებისთვის აჭარის რეგიონში _____	31
ლია კოპალიანი, ეკატერინე არველაძე, ნატალია ჯინჭარაძე, მზია კონჯარია – თხილის გახარების და ზრდა-განვითარების თავისებურება და კულტურის წარმოების პერსპექტივები ლექსუმის მთის წინეთში _____	36
როზა ლორთქიფანიძე, მაია დიაკონიძე, გიორგი იაკობაშვილი – კლიმატგონივრული მართვის აგროეკოლოგიური გარემო საქართველოში _____	42
როზა ლორთქიფანიძე, შორენა თვალაძე, ქრისტინე მუშეუდიაი – სატბორე მეურნეობის განვითარების რესურსები საქართველოში _____	49
მაკა ყუბანეიშვილი, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი – პამიდორის მოყვანა სათბურში _____	57
მაკა ყუბანეიშვილი, როზა ლორთქიფანიძე, ნატალია სანთელაძე – როგორ გავზარდოთ კიტრი ოთახის პირობებში _____	62
ნუნუ ჩაჩხიანი - ანასაშვილი, მაკა ყუბანეიშვილი – ლურჯი მოცვის ძირითადი მავნებელის შესწავლა იმერეთის რეგიონში _____	66

ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი, ნატალია სანთელაძე, ლაშა მიქელაძე – ზეთისხილის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები _____	71
ალუდა ჩიქოვანი, როზა ლორთქიფანიძე – იმერეთში (ფარცხანაყანევი) და სამეგრელოში (ნოსირი) გავრცელებული ნიადაგების მექანიკური შემადგენლობის ანალიზის მონაცემები _____	78
მამუკა წიქორიძე – ნიადაგის დამუშავების მნიშვნელობა _____	83
ნატალია ჯინჭარაძე – ევკალიპტი „ტყის აღმასი, სიცოცხლის ხე“-დ წოდებული, მისი სამკურნალო თვისებები და სამრეწველო დანიშნულება _____	86

2 **ინჟინერია** **ENGINEERING** **ИНЖЕНЕРИЯ**

ეკატერინე ბენდელიანი – შავი ჩაის ექსტრაქტის გავლენა ქერის ალაოს პეროქსიდაზას ფიზიკურ - ქიმიურ თვისებებზე_	95
ეკატერინა გუბელაძე – ქ. ქუთაისში ირაკლი აბაშიძის გამზირზე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია _____	99
Soso Tavberidze, Temur Leshkasheli, Lukhum Chelidze – Justification of Periodic Maintenance of an Aggregate Based on Its Productivity and Engine Power _____	105
Emzar Kilasonia, Temur Leshkasheli, Lukhum Tchelidze – The Impact of Mobile Energy Equipment (MEE) Maneuverability on Their Operational Performance _____	108
გიორგი კილაძე – აფხაზეთის დოლმენები, როგორც ქვეყნის გამორჩეული ტურისტული ატრაქცია _____	111
რამაზ კილაძე, დავით კილაძე, ამბაკო ბრეგვაძე – მცენარეთა ასორტიმენტის შერჩევის თავისებურებები დაბა აბასთუმნის გამწვანება-განაშენიანებისათვის _____	121
იზა ოჩხიკიძე – კონტეინერული გამწვანება და მისი გამოყენების ფორმები _____	127

მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – თეაფლავინების და თეარუბიგინების როლი ჩაის ხარისხის ჩამოყალიბებაში _____	132
შორენა ფხაკაძე, ზაზა პაპიძე – ჰიბრიდული ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში _____	140
ნანა ქათამაძე – შავი ჩაის წარმოება ვაზის ფოთლის ექსტრაქტის დამატებით _____	147

3 მომსახურება SERVICES УСЛУГИ

სერგო ცაგარეიშვილი, ავთანდილ ხაჭაპურიძე, ლიანა გოგელია, მარიამ სვანიძე – უნიკალური ტურის წარმოება კურორტ საირმეში _____	153
სერგო ცაგარეიშვილი, ლიანა გოგელია, ავთანდილ ხაჭაპურიძე – სასტუმროების კლასიფიკაცია _____	156

4 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები NATURAL SCIENCES ЕСТЕСТВЕННЫЕ НАУКИ

ქეთევან ქუთელია – საქართველოს ბიომრავალფეროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი - ველური ჯადვარი ____	167
ნინო მარგველაშვილი, ანი სანიკიძე, ქეთევან ჩიქვინიძე – Escherichia coli როგორც ბიოტექნოლოგიის ობიექტი _____	174
მამუკა წიქორიძე – ეკოლოგიური პრობლემების გამომწვევი მიზეზები და შედეგები. _____	184

თათია დოღონაძე – ინტერკულტურული განათლების ასპექტები
გეოგრაფიის მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოში ____ 191

2 **በቴክኖሎጂ** **ENGINEERING** **ИНЖИНЕРИЯ**



აფხაზეთის დოლმენები, როგორც ქვეყნის გამორჩეული ტურისტული ატრაქცია

გიორგი კილაძე

აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

აფხაზეთი საქართველოს გამორჩეული კუთხეა, ყველა ქართველმა იცის, რომ ამ ულამაზეს მხარეს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, თუმცა ძალიან ცოტასთვის არის ცნობილი აქ არსებული პრეისტორიული ციკლოპური ნაგებობების - დოლმენების შესახებ, რომელთა ასაკი არაერთი ათასი წელია. მიუხედავად იმისა, რომ მეგალითური ნაგებობები გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც (საცხოვრებლები, ციხესიმაგრეები, მენჰირები), დოლმენების ნახვა ბუნებრივ გარემოში მხოლოდ აფხაზეთშია შესაძლებელი. ამასთან კავკასიის დოლმენები გაცილებით უფრო ხარისხიან ქვაყუთებს წარმოადგენენ, ვიდრე ანალოგიური ნაგებობები ევროპის სხვა ქვეყნებში. დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა უამრავი მოსაზრება დოლმენების დაწინაურების შესახებ, თუმცა ზუსტი პასუხები მეცნიერებს არ ქონდათ.

2007 წელს, ქალაქ ტუაფსესთან ახლოს, მდინარე კოლიხოს ნაპირას აღმოჩენილი იქნა ათასწლეულების წინ მეწყერის გამო მიწით დაფარული დოლმენი. მასში არსებულმა ადამიანთა ნაშთებმა საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. პირველ რიგში დადასტურდა მოსაზრება, რომ დოლმენი მიცვალებულთა საძვალეს წარმოადგენდა. შემდგომში, გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აქ დასვენებული ადამიანები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ და მათი დაკრძალვა ამ ადგილას ხუთი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კვლევამ დაადგინა, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ საინტერესო ნაგებობებთან. კულტურა, რომელმაც შექმნა ეს დოლმენები გამოირჩეოდა უნიკალური წეს ჩვეულებებით და რიტუალებით, რომელთა მსგავსს დღეს ვერსად ვნახავთ. შესაბამისად ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთი არა მხოლოდ თბილი ზღვა და თანამედროვე ატრაქციები, არამედ უნიკალური პრეისტორიული ნაგებობებით მდიდარი მხარეა, რაც რა თქმა უნდა კიდევ უფრო ზრდის მის ტურისტულ პოტენციალს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, მეგალითი, დოლმენი, მენჰირი, პრეისტორიული ხანა

აფხაზეთი საქართველოს გამორჩეული კუთხეა, ყველა ქართველმა იცის, რომ ამ ულამაზეს მხარეს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, თავისი ზღვის, თბილი კლიმატის, სიმწვანის, ტბების, ტაძრებისა, თუ მღვიმეების გამო. ამავე დროს აფხაზეთი უნიკალურია თავისი პრეისტორიული კულტურული ძეგლებით, რომლებიც სამწუხაროდ არ შედის ამ კუთხის პოპულარულ ტურისტულ ატრაქციებში. რეგიონის ვიზიტორთა უმრავლესობამ მათი არსებობის შესახებ არ იცის და ამ მიმართულებით არც ადგილობრივი ტურისტული სააგენტოები მუშაობენ.

მეგალითური ნაგებობები თანამედროვე მნახველში დღემდე უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს. განსაკუთრებით ცნობილი სტოუნჰენჯია, რომელიც ინგლისის სამხრეთ-დასავლეთში, სოლზბერის ვაკეზე მდებარეობს. მისი ასაკი ძვ. წ. 2500 – 3000 წლებში მერყეობს. თანამედროვე კულტურაში სტოუნჰენჯი ისეა გაპიარებული, რომ რთულია იპოვო ადამიანი, რომელმაც მისი არსებობის შესახებ არ იცოდეს, ცნობილ მეგალითებს მიეკუთვნება ეგვიპტის პირამიდები, მიკენური კულტურის ნაგებობები და საკსაიუამანი

პერუში. მეგალითური ნაგებობები ბევრია მსოფლიოში, ავსტრალიის და ანტარქტიდის გარდა ისინი ყველა კონტინენტზე გვხვდება. გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. საქართველოში უამრავი მეგალითური ნაგებობაა შემორჩენილი, განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ სამცხე-ჯავახეთის მხარე და აფხაზეთი. (9)

ვიდრე უშუალოდ თემაზე გადავალთ უკეთ უნდა გავერკვიოთ ტერმინებში. სიტყვა მეგალითოს ბერძნული წარმოშობა აქვს და შედგება ორი სიტყვისგან: mega - დიდი და lithos - ქვა. ეს ტერმინი პირველად 1849 წელს გამოიყენა ინგლისელმა მკვლევარმა ალჯერნონ ჰერბერტმა. ჩვეულებრივ ამ სიტყვის ქვეშ მოიაზრებენ დიდი ზომის დამუშავებულ ქვებს, თუმცა პერიოდულად მცირე ზომის ქვებსაც მოიხსენიებენ სიტყვით მეგალითი. (12)

მეგალითური ტერმინების დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვნის უილიამ ბორლესს. მან დაამკვიდრა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: კრომლეხი, დოლმენი და მენჰირი. ამ ტერმინების შექმნაში მან გამოიყენა ძველი ჩრდილოური ენები, მაგალითად: კელტური, ვალიური, ბრეტონული. (7)

სიტყვა კრომლეხი წარმოადგენს ორი სიტყვის გაერთიანებას, კელტური crom - მოხრა და ვალიური llech - ქვის ფილა. კრომლეხები მიწაში ვერტიკალურად ჩასმულ ქვებია, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან წრიულ სტრუქტურას. ყველაზე ცნობილი კრომლეხი, სწორედ სტოუნჰენჯია. (5)

მენჰირი - მარტივი მეგალითური ფორმაა, ეს არის ვერტიკალურად მდგარი ლოდი. მისი დანიშნულება ჯერჯერობით უცნობია, არქეოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი დაკრძალვის რიტუალთან იყვნენ კავშირში. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ლოდები დადგმული იქნა როგორც სასაზღვრო ნიშანი, ან მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებული მონუმენტი. სიტყვა მენჰირსაც ბრეტონული ფუძე აქვს, სადაც maen არის გრძელი, ხოლო hir ქვა. (6)

სიტყვა დოლმენი ბრეტონული taol maen-იდან მოდის და ქვის მაგიდას ნიშნავს. კავკასიური დოლმენი უზარმაზარი ქვის ფილებისგან, შეკრულ იზოლირებულ კამერას წარმოადგენს, რომელსაც ქვის ფუნდამენტი, ოთხი კედელი და ქვის სახურავი აქვს. დოლმენებში, წინა მხარეს გათვალისწინებულია 35-45 სმ დიამეტრის მრგვალი ჭრილი, რომელსაც სხვადასხვა წყაროების მიხედვით შესასვლელს, პორტალს ან ილუმინატორსაც უწოდებენ. ზოგიერთ დოლმენს ამ შესასვლელის დასახურად, სპეციალური ქვის საცობიც ააქვს (სურ.1). (4)

საქართველოში ბრინჯაოს ეპოქის ციკლოპური ნაგებობებით განსაკუთრებით განთქმულია სამცხე-ჯავახეთის მხარე. ცნობილია, რომ სამცხესაც სახელი სამი უძველესი ციხის გამო ეწოდა, რომლებიც სოფელ საროსთან მდებარეობს და მათგან უძველესის აშენების თარიღი ძვ. წ. XV-XIV სს შორის მერყეობს. უნიკალურია ციხე სიმაგრე, რომელიც მდებარეობს პატარა აბულზე (სურ. 2). მისი ასაკი დაახლოებით 3500 წელია. მას აშენების ტექნიკით ძალიან გავს შაორის ციხე, რომელიც ამავე რეგიონში, ფარავნის ტბასთან მდებარეობს. ციკლოპურ ნაგებობათა ერთ-ერთი უდიდესი კომპლექსი არის გოხნარის ლოდოვანი, ქვემო ქართლში. ეს ნაგებობებიც ადრეულ ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. (3)



სურათი 1. აფხაზეთიდან გადმოტანილი დოლმენი (თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი) (10)



სურათი 2. აბულის ციხე

საქართველოში ბევრია მენპირებიც: ჭიქიანის მენპირი, განძანის მენპირი, თეჯისის მენპირი, მურჯახეთის მენპირი, თხილვანის მენპირი და ა.შ. (1)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მდიდარია მეგალითური ნაგებობებით, აფხაზეთის რეგიონის გარდა აქ ვერ ნახავთ დოლმენებს.

ევროპის მეგალითების რუკას თუ გადავხედავთ (სურ. 3) ვნახავთ, რომ ეს კულტურა ძირითადად ზღვისპირა ხალხებში იყო გავრცელებული. კავკასიური დოლმენებიც ძირითადად შავი ზღვის პირეთში არის აშენებული და მხოლოდ დასავლეთ კავკასიაში გვხვდება. ქალაქ ანაპიდან, ქალაქ ოჩამჩირემდე არეალში. არც აღმოსავლეთ კავკასიაში და არც საქართველოს კუთხეებში, აფხაზეთის გარდა დოლმენებს არ აგებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ დოლმენებს კავკასიური დოლმენები შენების ხარისხით არ ჩამოუვარდება. პირიქით, ადგილობრივი ნიმუშები იმ დროის პროფესიონალი მშენებლების მიერ არის აგებული, გააჩნიათ ქვაყუთის ფორმა და არაერთ მათგანს მარტივი დეკორატიული ორნამენტებიც ამშვენებს.

კავკასიური დოლმენების დანიშნულებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა. გაგაცნობთ ძირითად ვერსიებს: 1. მიცვალებულთა აკლდამა; 2. ბელადის განსასვენებელი (8); 3. ბელადის საცხოვრებელი; 4. ჭირნახულის შესანახი სათავსო; 5. საკანი ბოროტმოქმედებისთვის ან ტყვეებისთვის; 6. დაავადებული ადამიანის გასაჩერებელი ადგილი, რათა მისი დაავადება არ გავრცელებულიყო თემის სხვა მაცხოვრებლებზე; 7. ადგილი სადაც წარმართული ღმერთებისთვის მსხვერპლშესაწირს ტოვებდნენ; 8. მითიური ვერსიები გოლიათებზე, თითქოს მათ ჯუჯებს სახლები აუშენეს.

ზუსტი პასუხი არ არსებობდა, რადგან 2-3 ათასი წელი, ხანგრძლივი პერიოდია იმისთვის, რომ ადამიანთა ნაშთები შენახულიყო. ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედების გარდა, ეს ნაგებობები იძარცვებოდა, ამიტომ ძალიან მცირე რაოდენობის არტეფაქტმა მოაღწია ჩვენამდე. ბუნებრივია, მეცნიერებს აღნიშნული მწირი მასალა დოლმენების დანიშნულების საიდუმლოს ამოხსნაში ვერ ეხმარებოდა.

ითვლება, რომ მეგალითები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ერთ დროს არსებულის მცირე ნაწილია. როგორც გათხრები ადასტურებს, მათი ნაწილი არა ერთეულ ნაგებობას, არამედ საკმაოდ დიდ სივრცეს იკავებდა. ზოგიერთი დოლმენი შემოღობილიც

კი იყო. საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა ამ ლოდებს სახლების და ტაძრების ასაშენებლად იყენებდა. XX საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკები მათ დამლას ცდილობდნენ, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის ცრურწმენებს ებრძოდნენ.

ლეონიდ ლავროვი აღნიშნავდა, რომ ჩერქეზები დოლმენის შესასვლელთან შესაწირ საკვებს ტოვებდნენ, ისინი ადგილობრივებისთვის საკრალურ ნაგებობებს წარმოადგენდნენ. იგივეს ადასტურებს, აფხაზი ეთნოგრაფი და ისტორიკოსი შალვა ინალ-იპაძე. მისი კვლევების თანახმად ძველი თაობის აფხაზებისთვისაც დოლმენები მოლოცვის და თაყვანისცემის ადგილები იყო (2). საქართველოს ეს კუთხე ცნობილია მდიდარი არქეოლოგიური მემკვიდრეობით, განსაკუთრებით კი მეგალითური არტეფაქტებით. ეს უძველესი ძეგლები, ძირითადად დოლმენები და კრომლეხები, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამ ტერიტორიის პრეისტორიული კულტურების შესახებ. ეს სტრუქტურები ძირითადად დასავლეთ რეგიონებში გვხვდება, სადაც ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი ადგილია ეშერა. აფხაზეთში არის კრომლეხებიც - ქვის რიტუალური წრეები, რომლებსაც შესაძლოა ასტრონომიული, რელიგიური ან დაკრძალვის რიტუალებისთვის იყენებდნენ. ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია სოფელი ოთხარა, სადაც რამდენიმე დაზიანებული დოლმენის და კრომლეხის ნახვაა შესაძლებელი (სურ. 4). (13)



სურათი 3. დოლმენების გავრცელების რუკა



სურათი 4. ოთხარის დოლმენების და კრომლეხების მაკეტი

კავკასიური დოლმენების დანიშნულების საიდუმლოს ფარდა აეხადა 2007 წელს სოფელ აგუი-შაპსუგში, რომელიც ტუაფსედან ჩრდილოეთის მიმართულებით 8 კილომეტრში მდებარეობს. 2007 წლის სექტემბერში ადგილობრივმა მკვიდრმა დამირ მაფაგელმა მდინარე კოლიხოს მარჯვენა სანაპიროზე აღმოაჩინა დოლმენი (სურ. 5). არქეოლოგიური სამუშაოების არასაკმარისი დაფინანსების გამო, მეცნიერები არტეფაქტის კვლევას მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეუდგნენ. მიუხედავად არაერთი დაზიანებისა, კონტრფორსები, რომლებიც გვერდითა კედლებს ამაგრებდნენ, მიაწვდნენ, რომ ნაგებობა დგას იქ სადაც თავდაპირველად იქნა აშენებული. როგორც ჩანს, ბოლო ათასწლეულების განმავლობაში ამ ადგილას არაერთი სტიქიური უბედურება მომხდარა, რის გამოც დოლმენი მიწით და თიხით დაიფარა.

გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, დოლმენი მიწისგან გათავისუფლდა. საბოლოო ჯამში მეცნიერების შრომას ტყუილად არ ჩაუვლია და ნაგებობის კამერის ქვედა

ნაწილში აღმოჩნდა ადამიანთა ნაშთები, რომლებიც თიხამ საკმაოდ კარგად შემოინახა. მთავარი ამოცანა ამოიხსნა, დადასტურდა, რომ დოლმენებს ათასწლეულების წინ სარკოფაგებად იყენებდნენ.

კოლიხოს დოლმენი უნიკალურია. მეცნიერებმა შესძლეს მისი დანიშნულების გარკვევა, ასევე დადგინდა, თუ როგორ ტარდებოდა სხვადასხვა რიტუალები. აღნიშნულ დოლმენში 72 ადამიანის ნაშთი იქნა ნაპოვნი. აქ დამარხული იყვნენ მამაკაცები, ქალები და ბავშვები. როგორც დეენემის ანალიზმა აჩვენა ისინი ერთმანეთს ენათესავებოდნენ. ნახშირბადის ანალიზის მიხედვით, დოლმენი აკლდამად გამოიყენებოდა ხუთი საუკუნის განმავლობაში. პირველ და ბოლო დამარხულს შორის 500 წლიანი ინტერვალი იყო. ეს პერიოდია ძვ. წ. 1800 – 1300 წლები. სამარხში 20 თაობა განისვენებდა. აკლდამაში არ აღმოჩნდა ჩვილები და 60 წელს გადაცილებული მოხუცები. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც არის, რომ იმ დროს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დღევანდელზე გაცილებით ნაკლები იყო. ძვლების ამოდებისას მეცნიერები ინიშნავდნენ თითოეული ძვლის ადგილსამყოფელს, შედეგად დადგინდა მიცვალებულის დაკრძალვის იმდროინდელი წესჩვეულებები (სურ. 6).



სურათი 5. კოლიხოს დოლმენი



სურათი 6. ძვლების განლაგების სქემა

კვლევამ დაადასტურა, რომ გარდაცვლილებს აკლდამაში ანთავსებდნენ დოლმენის წინა ნაწილში არსებული პორტალის მეშვეობით. არსებობს მოსაზრება, რომ თავდაპირველად ხდებოდა მიცვალებულის ბუნებრივი მუმიფიცირება, რაც შესაძლოა თვეები გარძელებულიყო. ეს იმით დასტურდება, რომ კალიხოს სარკოფაგში რბილი ქსოვილები არ აღმოჩნდა, ნაპოვნი მხოლოდ სახსრების ნაშთები. (11. 15)

ძვლებიდან აღებულმა სტრონციუმის იზოტოპების ანალიზმა საინტერესო შედეგი აჩვენა. დადგინდა, რომ აქ დასვენებულთა უმრავლესობა ადგილობრივი ბინადარი იყო, თუცა გარკვეული ნაწილი კოლიხოს დოლმენიდან გაცილებით შორს ცხოვრობდა (მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის მიდამოებშიც) და უკვე გარდაცვალების შემდეგ საგვარეულო აკლდამაში გადმოასვენეს. (14)

კოლიხოს დოლმენის კვლევამ დაადასტურა, რომ ათასწლეულების წინ კავკასიაში არსებობდა უნიკალური კულტურა, მსგავს არსად შეინიშნება. როგორც ჩანს ამ რეგიონის მცხოვრებნი პატივს მიაგებდნენ საკუთარ წინაპრებს, მკაცრად იცავდნენ ტრადიციებს და მათი ნათესაური კავშირებიც ძალიან მტკიცე იყო. დღეისათვის რთულია

იპოვო ადამიანი, რომელმაც დაზუსტებით იცის სად განისვენებენ მისი 500 წლის წინ გარდაცვლილი წინაპრები.

კავკასიაში დოლმენების შენება უეცრად შეწყდა. შესაძლოა ეს უკავშირდებდეს დამპყრობელს, მოსახლეობის მიგრაციას ან ახალი რელიგიური რიტუალების გავრცელებას. აღნიშნული ნაგებობები მხარის უძველეს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ. მათი შექმნის დრო ემთხვევა პირამიდების შენების პერიოდს.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, დოლმენებს არ ააქვთ ისეთი ტურისტული დატვირთვა, როგორც სხვა ღირშესანიშნაობებს. გამოწვევას იწვევს ის ფაქტი, რომ დოლმენი, ერთი გადატანილია სოხუმის ცენტრთან ახლოს, ე. წ. სახელმწიფო მუზეუმის ეზოში და მეორე თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ (სურ. 1 და 6).



სურათი 5. ეშერის კრომლეხი



სურათი 6. სოხუმი, დოლმენი ე. წ. სახელმწიფო მუზეუმის ეზოში

სხვა ღირშესანიშნაობებთან ერთად, აფხაზეთი თავისი პრეისტორიული ნაგებობებითაც გამოირჩევა. რაც შესაძლოს საინტერესო იყოს მრავლის მნახველი ტურისტისათვისაც კი, რადგან ასეთი ხარისხის დოლმენები მსოფლიოს ბევრ ადგილას არ არის შემონახული. მომავალში საჭიროა შესაბამისი სამუშაოების ჩატარება, აღნიშნული საკითხის პოპულარიზაცია, მეტი ინფორმაციის, სტატიის და ვიდეო რგოლების შემქმნა, ასევე ტერიტორიების მოვლა, დასუფთავება, შესაბამისი არქეოლოგიური, საკონსერვაციო, თუ აღდგენითი სამუშაოები, მისასვლელი გზების მოწესრიგება, დაცვის სამსახურის ორგანიზება. ამ ღონისძიებების შედეგად აფხაზეთის კრომლეხები (სურ. 6) და დოლმენები ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოს ტურისტულ რუკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე მ., ლუტიძე ი. და სხვა. ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება. გამომც. „ნათლისმცემელი“. თბილისი. 2023. 368 გვ.
2. <https://abkhazworld.com/aw/history/2804-dolmens-and-cromlechs-in-the-western-caucasus-an-overview>
3. <https://georgiantravelguide.com/ka/shaoris-tsikhe>
4. <https://en.wikipedia.org/wiki/Dolmen>
5. <https://en.wikipedia.org/wiki/Cromlech>
6. <https://en.wikipedia.org/wiki/Menhir>
7. https://en.wikipedia.org/wiki/William_Borlase
8. <https://ka.wikipedia.org/wiki/დოლმენი>
9. <https://en.wikipedia.org/wiki/Stonehenge>
10. https://ka.m.wikipedia.org/wiki/ფაილი:Dolmeni._ethnografiuli.JPG - ფოტო
11. [https://ru.wikipedia.org/wiki/Колихо_\(дольмен\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Колихо_(дольмен))
12. <https://ru.wikipedia.org/wiki/Мегалит>
13. <https://youtu.be/3GdhGeLerVk>
14. <https://youtu.be/X8hDV2VucPw>
15. <https://www.youtube.com/watch?v=KrIrdIyHBNU>

Abkhazian Dolmens as Prominent Tourist Attraction of the Country

Giorgi Kiladze

Academic Doctor of Agrarian Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Abkhazia is one of Georgia's most remarkable regions. Every Georgian knows about the immense tourist potential of this stunning area. However, only a few are aware of the prehistoric cyclopean structures known as dolmens, whose age spans several millennia. Although megalithic structures (such as dwellings, fortresses, and menhirs) can be found in other parts of Georgia, dolmens in their natural environment are unique to Abkhazia. Moreover, the Caucasus dolmens are far superior in quality compared to similar structures in other European countries. For a long time, numerous theories existed regarding the purpose of these dolmens, but scientists have yet to provide definitive answers.

In 2007, near the city of Tuapse, on the banks of the Kolikho River, a dolmen buried under soil for millennia due to a landslide was discovered. The human remains found within this structure led to fascinating findings. First and foremost, the theory that dolmens served as burial sites for the deceased was confirmed. Subsequent genetic analysis revealed that the individuals buried here were relatives, and burials at this site had taken place over a span of five centuries.

The research demonstrated that these are not merely intriguing structures. The culture that built these dolmens was characterized by unique traditions and rituals, unlike anything seen today. This discovery underscores that Abkhazia is not just a region of warm seas and modern attractions but also a land rich with unique prehistoric structures. This, of course, further enhances its already significant tourism potential.

Keywords: Abkhazia, Megalith, Dolmen, Menhir, Prehistoric Era

Abkhazia is one of Georgia's most distinctive regions. Every Georgian knows about the immense tourist potential of this beautiful area, renowned for its sea, warm climate, lush greenery, lakes, temples, and caves. However, Abkhazia is also unique for its prehistoric cultural monuments, which unfortunately are not included among the region's popular tourist attractions. Most visitors to the region are unaware of their existence, and local tourism agencies have not actively promoted this direction.

Megalithic structures continue to raise numerous questions for modern observers. Among the most famous is Stonehenge, located in southwest England on the Salisbury Plain, dating back to around 2500–3000 BCE. Stonehenge has been so effectively promoted in modern culture that it is almost impossible to find someone who hasn't heard of it. Other well-known megaliths include the Pyramids of Egypt, the structures of Mycenaean culture, and Sacsayhuamán in Peru.

Megalithic structures are found all over the world, on every continent except Australia and Antarctica. Georgia is no exception. Numerous megalithic structures have survived in Georgia, with the Samtskhe-Javakheti region and Abkhazia being particularly rich in such monuments. Before moving to the Topic, we need to understand the terms: The word **megalith** is of Greek origin and is composed of two words: **mega** (large) and **lithos** (stone). This term was first used in 1849 by the English researcher Algernon Herbert. Typically, the term refers to large, worked stones, though occasionally smaller stones are also referred to as megaliths.

William Borlase played a significant role in the establishment of megalithic terminology. He introduced terms such as **cromlech**, **dolmen**, and **menhir**. In creating these terms, he drew from ancient northern European languages, such as Celtic, Welsh, and Breton.

The word **cromlech** is a combination of two words: the Celtic **crom** (bend) and the Welsh **llech** (stone slab). Cromlechs are vertically embedded stones in the ground, forming a circular structure when viewed together. The most famous example of a cromlech is Stonehenge.

A **menhir** represents a simpler megalithic form—an upright standing stone. Its purpose remains unknown. Some archaeologists believe menhirs were associated with burial rituals. Others suggest they were erected as boundary markers or monuments tied to significant dates. The term **menhir** also has Breton roots, where **maen** means "long" and **hir** means "stone." The word **dolmen** originates from the Breton term **taol maen**, which means "stone table." Caucasian dolmens are

massive stone constructions forming an enclosed chamber. These structures typically consist of a stone foundation, four walls, and a stone roof. On the front side of dolmens, a circular opening with a diameter of 35–45 cm is commonly found. Depending on the source, this opening is referred to as an entrance, portal, or even an illuminator. Some dolmens also have a specially crafted stone plug designed to seal this opening.

The Samtskhe-Javakheti region in Georgia is particularly famous for its Cyclopean structures from the Bronze Age. It is known that the region was named after three ancient fortresses located near the village of Saro, with the oldest of these dating back to the 15th–14th centuries BCE. One of the most unique fortresses is situated on a small hill called Abuli, with an estimated age of around 3,500 years. Its construction technique closely resembles that of the Shaori Fortress, which is located near Lake Paravani in the same region. One of the largest complexes of Cyclopean structures is the stone settlement at Gokhnari, in Lower Kartli. These structures also belong to the Early Bronze Age.

